საბა ღავთაძე

კავკასიის სამართლის სკოლა,

ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია

,,2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი ჩემთვის განსაკუთრებული და დაუვიწყარი აღმოჩნდა, რადგან Erasmus+ პროგრამის ფარგლებში საშუალება მომეცა, მესწავლა და მეცხოვრა გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში. ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის შეძენის, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვების თვალსაზრისითაც.

ზაარლანდის უნივერსიტეტში სწავლის პროცესმა, ჩემს სფეროში, ახალი პერსპექტივები დამანახა. საშუალება მომეცა, მომესმინა მსოფლიოში აღიარებული პროფესორებისა და მკვლევრებისთვის, რაც არაჩვეულებრივი შესაძლებლობა იყო თანამედროვე სამეცნიერო მიდგომებისა და პრაქტიკული ცოდნის მისაღებად. ლექციებისა და სემინარების მაღალი აკადემიური დონე დამეხმარა პროფესიულ ზრდასა და კვლევითი უნარების გაღრმავებაში.

გარდა აკადემიური გამოცდილებისა, Erasmus+ პროგრამა დამეხმარა, გამეცნო სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. კულტურათაშორისი ურთიერთობები ჩემთვის განსაკუთრებით ღირებული აღმოჩნდა, რადგან მათი მეშვეობით უკეთ გავეცანი სხვა ქვეყნების ტრადიციებს, შეხედულებებსა და ცხოვრების სტილს. საერთო პროექტებზე მუშაობამ და გუნდურ აქტივობებში ჩართვამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ჩემი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარები.

Erasmus+ პროგრამამ მაჩვენა, თუ რამდენად ღირებულია განათლების მიღება უცხო ქვეყანაში და ახალი კონტაქტების დამყარება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოცდილება ჩემს კარიერულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მადლობა კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლას ამ შესაძლებლობისთვის!''